

ბროილერის წარმოების ტექნოლოგია ფერმერულ მეურნეობებში

ბროილერის (მეხორცული ფრინველის) დახასიათება:

ბროილერი წარმოადგენს მეხორცული მიმართულების ფრინველს to broil ინგლისურად ნიშნავს ნახშირზე შეწვას. ბროილერული მიმართულების არის ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და მწყერი. ბროილერული მეფრინველეობის განვითარება დაიწყო მე-20 საუკუნის 20-იან წლებიდან აშშ-ში, დელავერის შტატში. 15 წლის შემდეგ ბროილერების წარმოებამ სამრეწველო ხასიათი მიიღო და ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ბროილერი არის ჰიბრიდული სახორცე წიწილა არაუმეტეს 2 თვისა, რომელიც ხასიათდება სწრაფი ზრდით და საკვების მაღალი ანაზღაურებით. თანამედროვე ტექნოლოგიით ბროილერს ზრდიან 35 დღის ასაკამდე და ამ ასაკში იგი 1,5-1,8კგ-ს იწონის. ბროილერების მისაღებად გამოიყენება სპეციალიზირებული ჯიშები. სამამლე ფორმად იყენებენ კორნიშს, ხოლო სადედედ — თეთრ პლიმუტროკს. მათი მონაწილეობით გამოყვანილია მრავალი კროსი მათ შორის, ფართოდაა გავრცელებული: ვერიბიდი (ჰოლანდია), კობი, ხუბბარდი, როსი (აშშ) და სხვა.

გახსოვდეთ

ბროილერი გამოიყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთი ექსპლოატაციის პერიოდში (5-7 კვირა). ამ ასაკის შემდეგ მისი შენახვა არარენტაბელურია, რადგან წონამატი მცირდება და საკვების დანახარჯი იზრდება. აღსანიშნავია, ისიც, რომ არ შეიძლება ბროილერის შენახვა მისგან კვერცხის და შემდეგ წიწილის მიღების მიზნით. ბროილერის კვერცხიდან მიღებულ წიწილებს, არ გადაეცემათ მშობლების ნიშან თვისებები, რადგანაც ჰეტეროზისი (შვილების პროდუქტიულობა, სჭარბობს მშობლებისას) რაც ვლინდება მხოლოდ პირველ თაობაში.

ფრინველის წარმატებულად გამოზრდის აუცილებელი პირობები:

- ინკუბაცია (კვერცხის მასა, გამოჩეკვის %, ტექნოლოგიური პარამეტრები);
- ერთდღიანი წიწილის დახარისხება, გამოჩეკვიდან წიწილების ადგილამდე მიყვანის სისწრაფე;
- შენობის მომზადება და შენახვის სისტემების (გალიური, იატაკზე) სწორად შერჩევა;
- შენობის მიკროკლიმატისა (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერცვლა) და სინათლის რეგულაცია;
- კვება და დარწყურება;
- ვეტ-სანიტარული ღონისძიებები

ინკუბაცია

საინკუბაციო კვერცხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მიღებულ უნდა იქნას ერთი ასაკის, ჯანმრთელი სადედე გუნდიდან;
- კვერცხი უნდა იყოს ოვალური ფორმის, სუფთა ნაჭუჭით და მისი მასა უნდა იყოს 50-75გ.
- ახალი -(კვერცხის დადებიდან არაუმეტეს 7 დღისა (ინახება +8+12 გრად. ტენიანობა 75-80%);

დაიმახსოვრეთ

საინკუბაციოდ არ გამოდგება:

- ორგულა, უფორმო (მრგვალი, მოგრძო, დეფექტიანი), გაბზარული, ჭუჭყიანი და გარეცხილ ნაჭუჭიანი კვერცხი; ასევე ნაჭუჭზე კიროვანი დანალექით;
- ვიზუალურად დათვალიერების შემდეგ ახდენენ კვერცხის შიგთავსის შემოწმებას ოვოსკოპირებით (დალანდვა) სადაც ვხედავთ: საჭაერო საკნის სიდიდეს და მდებარეობას; ყვითრს, რომელიც უნდა იკავებდეს ცენტრალურ მდებარეობას; ხალაზებს, რომელიც მოთავსებულია ყვითრის მოპირდაპირე მხარეს და დამაგრებულია ნაჭუჭშიგა გარსზე. ასევე სხვადასხვა ჩანაროებს (სისხლი, ჭუჭყი, ობი, საკვები.)

გამოიწუნება:

- გადიდებული, გვერდზე გადახრილი საჭაერო საკანი, რაც მიუთითებს კვერცხის სიძველეს, ახალი კვერცხის საჭაერო საკანი მდებარეობს კვერცხის ბლაგვ ბოლოზე და მისი დიამეტრი არ აღემატება 1,8 სმ.

- მოძრავი ყვითრი, რომელიც გამოწვეულია არასათანადოდ კვერცხის ტრანსპორტირებისას, ან ხანგრძლივად შენახვისას, როცა კვერცხში მოწყვეტილია ხალაზები.
- სხვადასხვა ჩანარებიანი კვერცხი, გამოწვეულია საფენის დაბინძურებით, როცა კლოაკიდან საკვების ნარჩენები, ჭუჭყი, ობი იჭრება კვერცხის შიგთავსში და ქმნის საუკეთესო პირობებს მიკროორგანიზმების განვითარებისთვის.

დაიმახსოვრეთ

- კვერცხი დახარისხების შემდეგ იწყობა თაროებზე ბლაგვი ბოლოთი მაღლა;
- ინკუბატორში ჩაწყობამდე, შეუძლებელია, ვიზუალურად კვერცხის განაყოფიერების შემოწმება; ინკუბატორში ან კრუხის ქვეშ კვერცხის მოთავსებიდან 3 დღის შემდეგ დავადგენთ კვერცხი განაყოფიერებულია თუ არა; განაყოფიერებული კვერცხი ოვოსკოპირებისას მოსჩანს მუქად, გაუნაყოფიერებელი კვერცხი გამჭირვალეა;
- ინკუბატორში ჩაწყობამდე კვერცხს უკეთდება დეზინფექცია;
- საინკუბაციო კარადაში უნდა დავიცვათ 37,4-37,6 გრად. ცელსიუსი ტემპერატურა, აბსოლუტური ტენიანობა 70%;
- კვერცხის გადაბრუნება ხდება ყოველ საათში ერთხელ 45 გრად. მარჯვნივ და მარცხნივ;
- გამოსაჩეკ კარადაში კვერცხი გადაგვაქვს მე-18 დღიდან. თაროებზე კვერცხი თავსდება ჰორიზონტალურად, ტემპერატურა უნდა იყოს 37,2, ხოლო ტენიანობა 32-34 გრად.
- აუცილებელია, ნახშირორჟანგის შემცველობის დადგენა. საინკუბაციო კარადაში დასაშვებია 0,3-0,5% ნახშირორჟანგი, ხოლო გამოსაჩეკში 0,8-1%. ჩანასახი მასიურად ილუპება 1,5-2 %-ზე.
- ინკუბაციის შედეგების აღრიცხვა უნდა მოხდეს ჩაწყობილი და განაყოფიერებული კვერცხიდან, რაც ნიშნავს გამოჩეკილი კონდიციური წიწილის რაოდენობას გამოხატულს პროცენტებით. ბროილერების გამოჩეკვის პროცენტი ჩაწყობილი კვერცხიდან მერყეობს 78-86%, ხოლო განაყოფიერებულიდან 85-93%.

ერთდღიანი წიწილის დახარისხება

ახალგამოჩეკილ წიწილს ახარისხებენ გარეგნულად კონდიციურობის მიხედვით.

კონდიციური წიწილისათვის დამახასიათებელია:

- ცოცხალი მასა 38-40გ;
- სწრაფი რეაგირების უნარი;
- აკრული, რბილი მუცელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყვითრი შეწოვილია;
- ჭიპლარი სუფთა და შეხორცებული;
- კლოაკა სუფთა;
- ღინღლი მშრალი და ტანზე თანაბრად განაწილებული;
- თავი განიერი და პროპორციული;
- თვალი მრგვალი და კარგად გახელილი;
- სხეული და მკერდის ძვალი მკვრივი;
- ფეხები და ნისკარტი პიგმენტირებული და მაგარი;
- ფრთები მჭიდროდ ეკვრის სხეულს.

წიწილი დახარისხებიდან 8 საათის განმავლობაში უნდა გადავიყვანოთ საწიწილეში. აქედან ყოველი 6 საათით დაგვიანება 1,3 % ამცირებს ცოცხალ მასას. ყუთებში წიწილების ხანგრძლივად გაჩერება ზრდის სიკვდილიანობას.

შენობის მომზადება

წიწილის მიღებამდე აუცილებელია საწიწილის მომზადება. ძირითად ღონისძიებად ითვლება პრინციპის „მთლიანად სავსე-მთლიანად ცარიელი“- ის დაცვა, რაც ნიშნავს შენობის ერთი ასაკის ფრინველებით ერთდროულად შევსებას და გამოზრდის დამთავრების შემდეგ ერთდროულ გათავისუფლებას. შენობას ასუფთავებენ, უკეთებენ დეზინფექციას. ამჟამად უამრავი ახალი სადეზინფექციო საშუალებებია, მაგრამ უფრო მარტივია ფორმალინის 40%-იანი ხსნარით აეროზოლური დეზინფექცია, ყოველ 1 კუბიკურ მეტრ ფართობზე 20-30 მლ. რაოდენობით. 12 სთ შემდეგ შენობას ანიავებენ, წიწილის ჩასამადე ორი დღით ადრე შენობას ათბობენ 34 გრად-მდე, აწესრიგებენ სავენტილაციო სისტემას. ამოწმებენ საწყურვებლის და საკვებურის მდგომარეობას, რათა ისინი თანაბრად იყოს განაწილებული შენობაში.

შენახვის სისტემები

გამოიყენება შენახვის ორი სისტემა; გალიური და იატაკური. ეს უკანასკნელი იყოფა: ღრმა საფენზე და მავთულ, ან პლასტმასის ბადიან იატაკზე შენახვად.

გალიური გამოზრდის უპირატესობაა:

- იზრდება საფრინველში დასმის სიმჭიდროვე, რის გამოც 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე წელიწადში მიიღება 220-260 კგ. ხორცი, რაც 2-3ჯერ მეტია, ღრმა საფენთან შედარებით.
- ბროილერის შეზღუდული მოძრაობის გამო, მეტია წონამატი;
- ადვილდება ფრინველის ყოველდღიური დათვალეობა;
- მცირდება საკვების გაფანტვა და შესაბამისად საკვების დანახარჯი;
- თავიდან არის აცილებული საფენის შემენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ადვილდება დასაკლავი ფრინველის დაჭერა;
- ადვილდება ვეტეროფილაქტიკური ღონისძიებები.

ამასთან გალიური შენახვისას უარესდება ხორცის ხარისხი, რადგან ბროილერი დიდი წონის გამო, ხშირად ჯდება მავთულბადიან იატაკზე, რაც იწვევს მკერდზე კოჟრების გაჩენას, დაკვლის შემდეგ ეს დაზიანებული ნაწილები ფერს იცვლიან და ნაკლავის ხარისხი ეცემა. ხშირია სისხლ ჩაქცევებიც. ამიტომაც უპირატესობას იატაკურ გამოზრდას ანიჭებენ.

ღრმა საფენზე გამოზრდა

ბროილერის ღრმა საფენზე გამოზრდა უფრო გავრცელებული წესია. ღრმა საფენზე გამოზრდისას ფრინველი თავისუფლად მოძრაობს და უფრო მიახლოებულია ბუნებრივ პირობებთან, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხორცის ხარისხს. ღრმა საფენის მოწყობის წესი ასეთია: მყარ იატაკზე (ასფალტი, ბეტონი) ყოველ კვადრატულ მეტრზე მოაყრიან 0,5 კგ. ჩამქრალ კირს, შემდეგ 5 სმ. სიმაღლეზე უმატებენ საფენს, რომელიც უნდა იყოს მშრალი (ტენიანობა-25%). საფენად იყენებენ ნახერხს, ბურბუშელას, ნამჯას, სიმინდის დაქუცმაცებულ ტაროს და სხვა. დაბინძურების მიხედვით საფენს თანდათან უმატებენ, საფენი თანაბრად უნდა განაწილდეს საფრინველის იატაკზე. მას ცვლიან გამოზრდის პერიოდის დამთავრების შემდეგ (5-6კვირა). შენობაში ცხადდება პროფილაქტიკური შესვენება 10-14 დღით. ამ დროს საფენი აიღება სპეციალური მანქანით, შენობა-მოწყობილობები სუფთავდება და უკეთდება დეზინფექცია. ამის შემდეგ შემოდის წიწილების მომდევნო პარტია .თუ ბროილერს ზრდიან 35 დღეს, მაშინ ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლიობა შენობაში იქნება 49 დღე (35 დღე+14დღე),ამ შემთხვევაში წელიწადში ერთი შენობა აკეთებს 7,4 ბრუნვას (365:49),რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ერთ შენობაში ეტევა 10000ფრთა ბროილერი, მაშინ წელიწადში შეიძლება გამოიზარდოს 74000 (10000.7,4) ბროილერი. ახალი პარტიის მიღებამდე შენობას ათბობენ ისე, რომ საფენის ტემპერატურა იყოს 28-30 გრად.

შენობის მიკროკლიმატი

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰაერის ტემპერატურას, რადგან სიცოცხლის პირველ დღეებში სხეულის ტემპერატურა ახლოსაა ინკუბატორის ტემპერატურასთან, წიწილები მოითხოვენ მეტ სითბოს, რადგან განვითარებული არ აქვთ თერმორეგულაციის მექანიზმი. ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 32-34 გრად. ასეთი ტემპერატურა ხელს უწყობს თერმორეგულაციის მექანიზმის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, უკეთეს ზრდა-განვითარებას, მე-14 დღეზე თერმორეგულაცია ნორმალიზდება და სხეულის ტემპერატურაც სტაბილური ხდება (40,6-41,7გრად). ბროილერს გამოზრდის მთელ პერიოდში უნდა შეუქმნათ ტემპერატურული კომფორტი, რადგანაც იგი სწრაფად მზარდია და გამოჰყოფს დიდი რაოდენობით მეტაბოლურ სითბოს, განსაკუთრებით გამოზრდის მეორე პერიოდში, ამიტომაც უნდა ვეცადოთ ტემპერატურა შენობაში თანდათან შევამციროთ, ყოველი კვირის ბოლოს 2 გრადუსით და ბოლოს დავიყვანოთ 20 გრადუსამდე. გამოზრდის ბოლო პერიოდში ტემპერატურამ არ უნდა გადაჭარბოს 21 გრად.

შენობაში ტემპერატურულ ცვალებადობას თვით ფრინველის ქცევა გვიჩვენებს. დაბალ ტემპერატურაზე წიწილები ერთად ქუჩდებიან, მაღალ ტემპერატურაზე ნისკარტი ღია და ფრთები ჩამოშვებული აქვთ, ახასიათებთ ხშირი სუნთქვა, იზრდება წყალზე მოთხოვნილება. როცა

ტემპერატურა ოპტიმალურია, წიწილები თანაბრად არიან განლაგებული საფრინველის მთელ ფართობზე.

ტენიანობა

წიწილები ძალიან მომთხოვნი არიან ტენის მიმართ. გამომშრალი ჰაერი აშრობს ლორწოვან გარსს, რაც იწვევს ფრინველის რესპირატორულ დაავადებებს. შეფარდებითი ტენიანობა უნდა იყოს: პირველი 10 დღის განმავლობაში — 70-75%; შემდგომში — 50-60%;

პრაქტიკაში ტენიანობის სარეგულირებლად სიციხეში შენობას ხელოვნურად აგრილებენ ამისათვის იყენებენ წყლის ფრქვევანას, ან პერიოდულად ფუნჯით ასველებენ კედლებს. ოპტიმალური ტენიანობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, გალიური შენახვისას, ნაკელის ხშირი გატანა. ტემპერატურასა და ტენიანობას ზომავენ საფრინველის სამ სხვადასხვა ადგილას დღე-ღამეში ორჯერ.

ვენტილაცია

საფრინველებში დაცული უნდა იყოს ტემპერატურის, მტვერის კონცენტრაციის და მავნე აირების ოპტიმალური ნორმები, რომელსაც აწესრიგებს კარგად გამართული ვენტილატორები. ვენტილაცია — ერთერთი აუცილებელი ფაქტორია ბროილერების შენახვისას და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უზრუნველყოფდეს ბროილერებს სუნთქვისათვის საჭირო რაოდენობის ჟანგბადით;
- აშორებდეს ზედმეტ სითბოს და ჭარბ ტენს ჰაერიდან;
- მინიმუმამდე შეამციროს მტვერით ჰაერის დაბინძურება;
- შეამციროს მავნე აირების კონცენტრაცია დასაშვებ ზღვრამდე;
- გაახანგრძლივოს მოწყობილობის ექსპლუატაცია;
- შენობაში ყოველ 1 კვ ცოცხალ მასაზე ცივ პერიოდში უნდა შემოდოდეს 1,0-0,7 მეტრ კუბი. სთ. სუფთა ჰაერი, ხოლო სიციხეში 7,0. ჰაერის მოძრაობის სისწრაფე სიცივეში უნდა იყოს 0,5მ/წმ, ხოლო სიციხეში 0,5; დაცული უნდა იყოს მავნე აირების დასაშვები ნორმა: ნახშირორჟანგი 0,25%, ამიაკი 15 მგ, მეტრ კუბში. გოგირდწყალბადი 5 მგ. მ. კუბ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვისას იზრდება ფრინველის ზრდის ტემპი, სიცოცხლის უნარიანობა, საკვების ათვისება.

დაიმახსოვრეთ

- სიციხეში ფრინველის გადახურებისაგან დასაცავად შენობას ხელოვნურად აგრილებენ. ამცირებენ ფრინველის დასმის სიმჭიდროვეს, მზის სხივების ზემოქმედების დასაცავად ახდენენ საფრინველის კედლების დაჩრდილვას; სავენტილაციო სისტემის წარმადობის გაზრდას.
- სიცივეში აუცილებელია ტემპერატურის 1-2 გრად. გაზრდა, ორპირი ქარის ლიკვიდაცია, შენობაში არსებული ყველა ხვრელის და ნაპრალის ამოვსება, რათა არ შემოვიდეს ცივი ჰაერი. ქვეშაფენის გაციების და სინესტის თავიდან ასაცილებლად, ახდენენ ტემპერატურისა და ტენიანობის სისტემატურ შემოწმებას საფრინველის სამ სხვადასხვა ადგილას.

მავნე აირების კონცენტრაციის ზრდა უარყოფითად მოქმედებს ფრინველის ჯანმრთელობაზე:

- ნახშირორჟანგი ამცირებს მადას, იწვევს ძილს, 4.5% ზევით კონცენტრაციისა იწვევს სიკვდილს, მოგუდვას;
- ამიაკი იწვევს — ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას და დაზიანებას, ადიდებს მგრძნობიარობას ბაქტერიულ დაავადებებისადმი;
- მტვერი — აზიანებს ფილტვებს

დასმის სიმჭიდროვე

ბროილერების დასმის სიმჭიდროვე განსაზღვრავს ბროილერის მეხორცულ პროდუქტიულობას. ფრინველის მჭიდროდ ჩასმისას მცირდება ზრდის ინტენსივობა, უარესდება საკვების ათვისება, იზრდება დაავადებათა რისკი, უარესდება საფენის მდგომარეობა და რთულდება ფრინველის მოვლა. ყოველივე ეს გამოიწვევს გეგმიური წონამატის შემცირებას, დაცემის გაზრდას, საკვების გადახარჯვას ერთეულ წონამატზე და საბოლოოდ მოგების შემცირებას.

რეკომენდირებული დასმის სიმჭიდროვე ერთ მეტრ კვადრატზე

ასაკი დღე	1	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55
ფრთა 18²	30-32	22-25	19-20	18-19	17	16	13	12	10	8	7	6

დაიმასხოვრეთ

ბროილერის დასმის სიმჭიდროვის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ მასას. შემუშავებულია დასმის სიმჭიდროვის ნორმატივი ბროილერის ცოცხალი მასის გათვალისწინებით:

- | | |
|----------------------------------|---------------------------------|
| ■ ერთი ფრთის ცოცხ. მასა,გ | დასმის სიმჭიდროვე,1კვ.მ. |
| ■ 1400-1600 | 18 |
| ■ 1600-1800 | 16 |
| ■ 1800-2000 | 14 |
| ■ 2000-2200 | 12 |

7 კვირის ასაკის შემდეგ დასმის სიმჭიდროვე 2 ფრთით მცირდება. ზამთრის პერიოდში დასმის სიმჭიდროვე შეიძლება 1 ფრთით გაიზარდოს. კარგ შედეგად ითვლება, როცა ერთ ბრუნვაზე , 1 კვადრატულ მეტრზე 24 კგ, ხორცი მიიღება.

სინათლის რეჟიმი

როგორც წესი განათების რეჟიმი ბროილერებისათვის უნდა იყოს 24 საათიანი, რათა წიწილი ხშირად მივიდეს საკვებურთან და მიიღოს საკვები. იყენებენ სხვა რეჟიმსაც, კერძოდ, 23 სთ. განათება და 1სთ.ჩაბნელება.ასეთი რეჟიმის დროს იცვლება სინათლის ინტენსივობა. პირველ 7 დღეს 20-25 ლუქსი; 7-12 დღის 20-10 ლუქსი; შემდეგ თანდათან მცირდება და ჩამოდის 3-5 ლუქსამდე. საფრინველის გასანათებლად იყენებენ ჩვეულებრივ ან ლუმინესცენციურ ნათურებს.

ბროილერის კვება

გამოჩვევიდან 10 დღის განმავლობაში წიწილის შენახვის პირობები ინკუბატორიდან საბროილერომდე მკვეთრად იცვლება. ამ პერიოდში რეჟიმის თითოეული დარღვევა ნეგატიურად აისახება ფრინველის ორგანიზმზე. შენობაში შეყვანისთანავე წიწილები უნდა დავასვენოთ 1-2 საათით, რისთვისაც გამორთავენ განათებას. ინკუბაციის ბოლო პერიოდში და გამოჩვევისთანავე წიწილი იკვებება ორგანიზმში არსებული ყვითრით, საიდანაც იღებს საყუათო ნივთიერებებს. პირველ სამ დღეს ყვითრი უზრუნველყოფს წიწილს ანტისხეულებით და საყუათო ნივთიერებებით. ყვითრის პარკიდან შეწოვა წიწილის ზრდის წინა პირობაა, ამიტომაც საკვების მიღებამდე ზრდა იქნება მინიმალური. ჩვეულებრივ, ყვითრის შეწოვა ინტენსიურია პირველ 48 საათში და ამ დროს ყვითრი იწონის 1გ-ზე ნაკლებს. 3დღის ასაკამდე თუ წიწილამ ჭამა არ დაიწყო ,შემდგომში ცოცხალი მასა იქნება დაბალი და წიწილებიც არაერთგვაროვანი. წიწილის მიღებამდე საწიწილეში იატაკზე უნდა დაეფინოს ქაღალდი, რომელიც ახლოს უნდა იყოს ავტომატურ საკვებურთან და საწყურვებელთან. ქაღალდის 25% იყრება საკვები. საფენი ქაღალდი უნდა შეიცვალოს 7-10 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძლიერ დაბინძურდება ნაკელით. დაბინძურებულ ქაღალდზე წიწილებს უჭირთ მოძრაობა, ასევე შეიძლება მათ დაიზიანონ თითები, საიდანაც აღწევს მიკრობები , რაც საბოლოო ჯამში იწვევს წონამატის კლებას და სხვადასხვა დაავადებებს.

კიდევ ერთი თავისებურება

- სანამ წიწილებს მიეცემათ საკვები, მათ უნდა დალიონ წყალი. წიწილების ჩასმის შემდეგ საკვები უნდა მიეცეს ორი საათის შემდეგ, რათა წიწილებმა მოასწრონ წყლის დაღევა.
- ავტომატურ კვებაზე გადასვლამდე საკვები უნდა დაიყაროს ქაღალდზე, რათა სუსტმა წიწილებმაც დაიწყონ კენკვა, კენკვა უპირობო რეფლექსია ,ამიტომაც იგი გამოჩვევისთანავე იწყებს საკვების მიღებას.
- წყლის პირველი ულუფა უნდა იყოს დატკბილული შაქრით ან გლუკოზით.(1 სუფრის კოვზი ლიტრ წყალზე). მეორე ულუფა უნდა იყოს ასკორბინის მჟავით ან ვიტამინ ც- თი (ლიმონის წვენი ან ლიმონ მჟავა, ოდნავ მომჟავო გემოს ხსნარი), ეს ყოველივე გამოიწვევს წიწილებში შიმშილს. ანუ, სანამ წიწილები მიიღებენ წყლის პირველ ულუფას, გადის ორი საათი, საჭმლის

მიცემის მომენტში ეძლევათ წყალი ასკორბინის მჟავით. როგორც კი საკვები მოხვდება ნაწლავებში, დარჩენილი ყვითრი ორგანიზმში შეიწოვება.

პირველი საკვების მიღებიდან წიწილი განიცდის შიმშილს, ამიტომაც საჭიროა მიიღოს ბევრი საკვები, რათა ჩიჩახვი გაივსოს. ამის შემოწმება შეიძლება საკვების მიღებიდან 8-24 საათის შემდეგ. ამისათვის საფრინველის სხვადასხვა ადგილიდან იყვანენ 30-40 წიწილს და ნაზად უსინჯავენ ჩიჩახვს თუ მიიღო საკვები და წყალი 8 საათის შემდეგ ჩიჩახვის 80 % შევსებული იქნება, ხოლო 24 საათის შემდეგ 100%, ჩიჩახვი უნდა იყოს ავსებული და რბილი, თუ იგი გამაგრებულია ე. ი. წყალი არ მიუღია. 4-6 დღის ასაკამდე წიწილი ლებულობს ქალაღზე დაყრილ დაღერდილ საკვებს, ამის შემდეგ იგი იწყებს საკვების ძებნას და პოულობს ავტომატურ საკვებურში, სადაც მას ხვდება გრანულირებული საკვები ამგვარად, წიწილი იწყებს კვებას ავტომატურ რეჟიმში და გადადის გრანულირებული კვებაზე. ასეთი გადასვლა უნდა მოხდეს უმტკივნეულოდ, რომ არ გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები. ამიტომაც საკვებურის მუდამ უნდა იყოს სავსე და წიწილისათვის ადვილ მისაწვდომი თუ შედეგი დადებითია, მაშინ 7 დღის ასაკში წიწილის წონა უნდა იყოს საწყის წონასთან შედარებით 4,5-5 ჯერ მეტი.

თუ წონა არ იქნა მიღწეული საჭიროა დამატებითი ზომების მიღება. შენობაში საკვებურები და სარწყურებლები საჭიროა განაწილდეს თანაბრად მთელ ტერიტორიაზე, რათა ყველა წიწილას ჰქონდეს მათთან მისვლის საშუალება. ბროილერის კვება უნდა მოხდეს სრულფასოვანი კომბინირებული საკვებით. კომბსაკვები უნდა იყოს მაღალი ხარისხის, დასაწყისში ღერდილის სახით, შემდეგ გრანულირებული. ბროილერის ასაკის მიხედვით იყენებენ სამი ტიპის კომბსაკვებს: სტარტი (0-10), ზრდის (11-24) და საფინიშო (25 და ზევით). კომბინირებული საკვები სასტარტო პერიოდში უნდა შეიცავდეს 23 % ნედლ პროტეინს და 300 კკალ სამიმოცვლო ენერჯიას; ზრდის პერიოდში შესაბამისად 21 და 310; საფინიშო პერიოდში 20 და 320.

გრანულირებული საკვებით კვებისას ბროილერების პროდუქტიულობა მაღალია, რადგან:

- ფრინველი მოიხმარს მეტ საკვებს და იოლად ითვისებს საკვებ ნივთიერებებს; მცირდება საკვების დანახარჯი;
- ფრინველები გემოს მიხედვით ვეღარ არჩევენ საკვების ინგრედიენტებს, რის გამოც ითვისებენ მასში არსებულ ყველა საყუათო ნივთიერებას; ნაკლებად ქექავენ საკვებს; ნებისმიერი პერიოდის რაციონის შედგენისას აუცილებლად უნდა მოხდეს ენერჯიისა და ამინომჟავების ბალანსირება. თუ გამოვიყენებთ მეთიონინს და ლიზინს, მაშინ შესაძლებელია რამდენადმე შევამციროთ პროტეინის შემცველობა რაციონში.
- აუცილებელია რაციონში მინერალური ნივთიერებების ჩართვა. კალციუმის სარეკომენდაციო ნორმაა 1%, ფოსფორის 0.4%, 0.35 და 0.3%. ნებისმიერ საკვებში აუცილებელია მარილი, მისი შეყვანის ნორმაა 0.2%-დან 0.3%-მდე. მა-რილი უნდა იყოს ძალიან წმინდად დაფქული და დიდი სიზუსტით შეყვანილი რაციონში.
- სიმინდი ითვლება ფრინველისათვის ყველაზე კარგ საკვებად, მას ვერ შეედრება ვერცერთი სხვა მარცვლეული. მარცვალი ძირითადად არის ენერჯიის წყარო, რადგან სიმინდი შეიცავს მცირე რაოდენობის უჯრედანას ამდენად ის არის დიდი ენერჯიის მომცემი. ყვითელი სიმინდის პიგმენტი სასიამოვნო გარეგნობას აძლევს ნაკლავს და მიმზიდველს ხდის მომხმარებლისთვის. სულ საკვების ხარჯი 35 დღის ასაკში შეადგენს 3319 გ. ერთი ფრთის წონა 2144-ია, ერთ კილოგრამ წონამატზე იხარჯება 1,5 კგ. საკვები (მონაცემები არის როსს-308)
- შესაძლებელია რაციონების სხვა მარცვლეულზე აგება, მაგრამ მაშინ გაიზრდება საკვების ხარჯი, რადგან არცერთი სხვა მარცვალი არ შეიცავს ამდენ ენერჯიას. საუკეთესო ვარიანტია სიმინდის და სოიოს ნარევი, მას უმატებენ ცილოვან-ვიტამინოვან კონცენტრატს და აბალანსებენ ისე, რომ მასში იყოს ყველა საჭირო საყუათო ნივთიერება.

დარწყურება

ბროილერებს ესაჭიროებათ საკმაო რაოდენობით ხარისხიანი წყალი. ახალგამოჩეკილ წიწილს საკვების მიცემამდე 2 საათით ადრე, წყლის მიღება ხელს უწყობს ორგანიზმიდან ემბრიონალურ პერიოდში დაგროვილი შარდმჟავას გამოდევნას. წყალი ფრინველს უნდა მიეწოდებოდეს შეუზღუდავად, წყლის მიწოდების შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს ზრდის ინტენსივობის შეფერხება. წყლის ხარჯი იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად — 21 გრადუსის ზევით 6-7%-ით ყოველ ერთ გრადუსზე. ერთდღიანი წიწილების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე აუცილებელია სარწყურებლების

შევსება, რათა წყალი გათბეს შენობის ტემპერატურაზე, არა ნაკლებ 25 გრადუსისა. თუ წყალი ცივია, იგი რჩება კუჭნაწლავის ტრაქტში და მონაწილეობას არღებულობს ნივთიერებათა ცვლაში მანამ, სანამ წყლის ტემპერატურა არ მიუახლოვდება ორგანიზმისას. ცივი წყლის მიცემისას მკვეთრად ეცემა ორგანიზმის ტემპერატურა, იზრდება სიკვდილიანობა, ადგილი აქვს გრიპოზულ დაავადებებს.

წვეთოვანი, ან ჯამისებური სარწყურვების გამოყენებისას აუცილებელია, წყლის მიწოდების დარეგულირება. ჯამები ყენდება წიწილის თვალის სიმაღლეზე, ხოლო წვეთოვანი სარწყურვებელი — ზურგის. წიწილების ზრდასთან ერთად სარწყურვების სიმაღლე უნდა არეგულიროთ. შენობა უნდა იყოს ნა-თელი, რათა ჩანდეს წყლის ანარეკლი. ყოველ წვეთოვანზე უნდა მოდიოდეს 20-22 ფრთა.

დაიმახსოვრეთ

- მიაჩვიეთ წიწილი წყლისა და საკვების მიღებას, წიწილი, რომლის ჩიჩახვი პირველ 3 დღეს ცარიელია, დროულად გამოიყვანეთ გუნდიდან. მოათავსეთ ცალკე და შეუცვალეთ კვების რეჟიმი;
- თუ დავინახეთ, რომ წიწილი წყალს არღებულობს, მაშინ 2-3 ფრთა ხელით მივიყვანოთ სარწყურვებელთან, ნისკარტი მივადებინოთ და ძალით დავალევიწოთ წყალი, სხვა წიწილი, როცა დაინახავს, ისიც დაიწყებს წყლის დაღევას.
- სიცოცხლის პირველ დღეებში თუ ბუმბული არათანაბრადაა ტანზე, საფრენი ბუმბული ეხება იატაკს, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს საკვების შემადგენლობას, კერძოდ, გოგირდმემცველი ამინომჟავების (მეთიონინი, ცისტინი) ბალანსს.
- წიწილების ერთმანეთთან კორტნისას, დროულად გამოიყვანოთ გუნდიდან შეუხორცებელ ჭიპლარიანი, კლოაკაზე თეთრი ბუმბულებიანი, სისხლიანი წიწილები, რადგანაც ისინი ასეთ ადგილებს აღიქვამენ როგორც საკვებს. კორტნას იწვევს აგრეთვე შენობაში კაშკაშა განათება, ასეთ შემთხვევაში ამცირებენ სინათლის ინტენსიობას.

